პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (18611) ხუთშაბათი, 24 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

კოლექტიური იჯარა სოფლად

ეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს საქართველოს სოფლის მშრომელებს მეტად დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები აქვთ შესასრულებელი. ამ დიდ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად გაბედილ ათწლეულში მეტად საგულისხმო და ნიშანდობლივი ცვლილებები მოხდა, რამაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას კეთილი კვალი დაჩინა. ბევრმა ორგანიზაციულმა, სამეცნიერო თუ პრაქტიკულმა სიახლემ საკავშირო აღიარება მოიპოვა. სულ ახლახანს კი საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სისტემაში ახალი ცვლილება მოხდა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, „საქსახსოფლტექნიკის“ ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სიახლე ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლის მძლავრი ბერკეტი გახდება. ახალშექმნილი კომიტეტი სოფლად ყოველგვარი სიახლის, პროგრესულის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის მოთავე უნდა იყოს.

ამ დღეებში ბელგოროდში გაიმართა საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოთხოვნების შესაბამისად საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვასთან დაკავშირებული ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების ამოცანები. ეს ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმას საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში.

სოფლად კოლექტიური იჯარის მიზანია გაიზარდოს მინის ნაყოფიერება და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, გამოინახოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების უკუგების გადიდების გზები, საზოგადოებრივი მუშაობა უფრო ქმედითი და შედეგიანი გახდეს, მივაღწიოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებას.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ბევრი პროგრესული წამოწყება აქტიურად ერცელდება და ეფექტიანად მოქმედებს მაშინ, როდესაც მათ ფართოდ უჭერენ მხარს პარტიის რაიკომები, განსაკუთრებით კი რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებანი, რომელთა შეუშალა კავშირი აქვთ კოლექტიური იჯარის დანერგვასთან. ამის დასტურია ნიკოლაევის, როსტოვის, სარატოვის, ბელგოროდის და ორიოლის ოლქების მთელი რიგი რაიკომების გამოცდილება.

საქართველოში შარშან პურეულის მკის დროს კახეთისა და მესხეთ-ჯავახეთის რეგიონებში მოქმედებდნენ მექანიზატორთა ბრიგადები, რომლებიც სანარდო ანაზღაურების მეთოდით მუშაობდნენ. უგანრიგო ბრიგადებში სანარდო ანაზღაურებამ კარგი ნაყოფი გამოიღო, გადიდდა მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერება, მანქანების მწარმოებლობა, რამაც ხელი შეუწყო დროულ და უდანაკარგო მკას, პექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებას. გამოცდილებამ ცხადყო, რომ კოლექტიური იჯარა ეფექტიანია სოფლის მეურნეობის ყოველგვარი პროდუქციის წარმოებაში. სანარდო ანაზღაურებასთან შედარებით იჯარის მეთოდი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფს უკეთესი საბოლოო შედეგების მიღწევას. ამ პროგრესული წესის გამოყენებით მომუშავე კოლექტიებში გაცილებით მეტია შრომის ნაყოფიერება, ნაკლებია პროდუქციის თვითღირებულება და, მაშასადამე, გაცილებით უკეთესი უკუგება მოაქვს კაპიტალდაბანდებას. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს სოფლის მშრომელის პირადი დაინტერესება არა ცალკეულ სახეობათა შესრულებული სამუშაოების მოცულობით, როგორც ეს სანარდო ანაზღაურების დროს ხდება ხოლმე, არამედ საბოლოო შედეგით — უმეტესი რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებით. შარშან ნითელწყაროს რაიონის ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა მთელი რიგი ბრიგადები კოლექტიური იჯარით მუშაობდნენ. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიხედვით ბრიგადები ანაზღაურებას საბოლოო შედეგის მიხედვით იღებდნენ. რა თქმა უნდა, აქ არ იყო დანერგილი იჯარის სრულყოფილი ფორმა, მაგრამ ამ წესის ნანილობრივმა გამოყენებამაც კი დიდი ნაყოფი გამოიღო. უამინდობის მიუხედავად ზამოქედელებმა 18 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიპყიდეს სახელმწიფოს, საკოლმეურნეო სალაროს მილიონობით მანეთი შემატეს. ამით შრომის ანაზღაურება ნინა ნელთან შედარებით გაორკეცდა, კაცდღის ღირებულებამ 12 მანეთს გადაამეტა, ხოლო განუყოფელ ფონდში 3 მილიონი მანეთი ჩაირიცხა, რაც კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს უფრო გააუმჯობესოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ახალქალაქის რაიონის ბურნაშევის კოლმეურნეობის მეკარტოფილეთა ბრიგადებმა 50-60 ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღეს ამ წესის დანერგვის შედეგად. ასევე ეფიძეები ითქვას აბაშელ, ხობელ და ცხაკაიელ მესიმინდეთა კომპლექსურ ბრიგადებზე, რომლებიც ახალი ტექნოლოგიით და შრომის ნატურალური ანაზღაურებით მუშაობენ.

შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმის ამკარა უპირატესობის მიუხედავად, კოლექტიური იჯარა ნელა ან სულ არ ინერგება ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამ საქმეში, ისევე როგორც ყველაფერში, არ ვიჯერა კომპანიურობა. კოლექტიური იჯარის დანერგვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს უფრო დაკვირვებულ ეკონომიკურ ანალიზს, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დონის ამაღლებას, ტექნოლოგიური დისციპლინის განუხრელ დაცვას, ეკონომიკური სამსახურების მუშაობის განმტკიცებასა და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

თელავის, გორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში საზოგადოებრივი მეურნეობები ნერგავენ კოლექტიური იჯარის პროგრესულ ფორმას. პარტიის რაიონული კომიტეტები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები შრომითი კოლექტივების დაკომპლექტებას ფორმალურად არ უნდა მიუდგნენ. ასეთი ქვეგანაყოფების ორგანიზაციის დროს არ უნდა დაირღვეს ნებაყოფლობის პრინციპი. უნდა გაითვალისწინონ მუშაკთა აზრი შრომის ანაზღაურებისა და პრემირების წესის განსაზღვრის დროს. ხელშეკრულებები ისე უნდა გაფორმდეს, რომ უთუოდ შესრულდეს. მომძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტიური იჯარის გამოცდილების დანერგვას შემოქმედებითად უნდა მიეუდგეთ.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, პროფკავშირული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულება დღევანდელ ეტაპზე კოლექტიური იჯარის დანერგვაზე ზრუნვა უნდა იყოს. მიმდინარე წელი უნდა გადავაქციოთ კოლექტიური იჯარის მასობრივი დანერგვის ეტაპის დასაწყისად, რათა მეთერთმეტე ხუთწლედში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეს პროგრესული ფორმა მტკიცედ დამკვიდრდეს საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების პრაქტიკაში, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი

მოსკოვი. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა 1982 წლის 21-22 დეკემბერს გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სხვაზომ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი“.

წიგნში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება „სსრ კავშირის სამოცი წელი“, საზეიმო სხდომის მონაწილეებისა და საზღვარგარეთელი სტუმრების გამოსვლები, სხდომაზე მიღებული მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებს, მთავრობებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ხალხებს“ და სხვა მასალები. (საკ. ფონი),

ალმაზრდელი, დამრიგებელი

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ბევრი შრომის მოწინავეა. ისინი თავდადებით იბრძვიან საწარმოს ავტორიტეტისა და ღირსების ამაღლებისათვის, მათ შორის არის № 8 სექტორტა საამწყობო საამქროს ამწყობი ზეინკალი, შრომით წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სსრ დამსახურებული დამრიგებელი გურამ თანიაშვილი.

იგი ყოველთვიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს, ზრუნავს საწარმოს ღირსების ამაღლებისათვის, იჩენს ყაირათიანობას მასალების ხარჯვისას, დღენიადაგ ზრდის შრომის ნაყოფიერებას. იგი საქმეს შემოქმედებითად უდგება და ამიტომაც მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს.

ხურათზე: გ. თანიაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

მოუვლელი ზვრები

ზესტაფონი დასავლეთ საქართველოს მევენახეობის დედა ადგილია. ამ რაიონის სახელთან არის დაკავშირებული ვაზის უკურნებელი სენის ფილოქსერის წინააღმდეგ ბრძოლის სათავეებიც. მაშინდელი საქარის სანერგეში ფილოქსერაგამძლე ამერიკულ სადედეზე გამოყვანილი ვაზის ნამყენი ნერგით გადარჩა ქართული ზვრები დაღუპვას.

ახლა ამ სანერგეს ბაზაზე მოქმედებს მეხილეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი სადგური, სადაც ათობით მეცნიერი თანამშრომელი ამუშავებს ვენახის მოვლის აგროტექნიკას, პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლევა მათ დასანერგავად, თუმცა ყურძნის მოსავლიანობა სტაბილური მაინც ვერ გახდა. ნათქვამის დასტურად შარშანდელი მაგალითიც კმარა. 1981 წელთან შედარებით აქ 17.000 ტონით შემცირდა ყურძნის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

კლდეეთის ღვინის სახელობის კოლმეურნეობის ზვრებს ისეთივე ნიადაგური და კლიმატური პირობები აქვს, როგორიც რაიონის მეურნეობათა ჯამსოლუტურ უმრავლესობას, ხოლო მეორე სვირთან და არგვეთასთან შედარებით — რამდენადმე უარესიც. კლდეეთში 1982 წელს ყურძნის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 115 ცენტნერი იყო, მეორე სვირის ღვინის სახელობის კოლმეურნეობაში კი 36 ცენტნერი. მოსავლიანობის ეს დონეც ცალკეულ მოწინავე მევენახეთა წილად მოდის. ვენახის 466 გამპიროვნებელიდან ყურძნის წარმოების გეგმა მხოლოდ 36 მევენახემ შეასრულა. ან კი, როგორ შეიძლება მეზვრე უწოდო გ. გეწაძეს, რომელმაც 2.000 კვადრატულ მეტრ ვენახში 40 კილოგრამი ყურძენი მოკრიფა?! მისმა მეზობელმა რ. ბარბაქაძემ მას მხოლოდ 10(!) კილოგრამით აჯობა. მოუვლელობით დაღუპეს მოსავლის დიდი ნაწილი რ. ცხადაძემ, ვ. თუთარაშვილმა, ბ. მაღლაკელიძემ და ათობით სხვამ. სწორედ მათ სინდისზეა 296 ტონა ყურძნის დანაკლისი.

სვირის კოლმეურნეობა ერთადერთი რომ იყოს, იქნება არც ღირდეს ლაპარაკი, მაგრამ რა ვუყოთ არგვეთელ, კვალითელ, ალავერდელ, ძირულელ და საზანოველ ვაი-მევენახეებს? იქნება საკრისა ითმინ მიმართ, ვინც მოუვლელობით ღუპავს მოსავალს, გამოყენებულ იქნეს საკადრისი სანქცია? ვფიქრობთ, ეს ღონისძიება აუცილებელია. შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის ბოლოდროინდელი პრინციპული მოთხოვნები საამისო უფლებას იძლევა.

ამ მოსაზრებას იზიარებენ ფეთელი და ტბაკინელი მევენახეებიც, რომლებმაც შარშან დაღვრილი ოფლის და მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად მიაღწიეს დასახულ მიზანს, მაგრამ მეზობელი კოლმეურნეობების უნიათობის გამო რაიონმა ჩამორჩენა ვერ აიცილა.

ქართველ მეჩაიეთა და მევენახეთა გადაძახილში ბევრი ბრძნული მოსაზრებაა გამოთქმული ხარისხის და სტაბილური მოსავლის მოყვანა-დაბინავების შესახებ. რათქმა უნდა, ბუნების მოწყალებას ვერ დაველოდებით, მას უნდა გამოსტაცო ის სიკეთე, რისი მოცემაც შეუძლია. თუ ამ პრინციპით წარმართება წლევანდელი საქმიანობა, გამარჯვებაც გარანტირებული იქნება. არადა, უკან დასახევი გზაც არ არის — აუცილებლად უნდა ანაზღაურდეს ყურძნის მოსავლის გასული წლის დანაკლისი.

შემოდგომა-ზამთრის ჭირვეულობამ, ნალექების სიუხვემ და ყინვებმა სამუშაოები შეაფერხა, 1 მარტისათვის რაიონში არსებული 2.400 ჰექტარი ვენახიდან რიგთმორისების ნიადაგი მხოლოდ ნახევარ ფართობზე იყო დამუშავებული, ძირების გამობარვა უფრო მცირე ფართობზეა შესრულებული, დაუმთავრებელია სასუქების შეტანა და ყოვნდება ვაზის გასხვლა-ფორმირება.

შეიძლება თუ არა ყველაფერი ისევ ამინდს დავაბრალოთ? რა თქმა უნდა, არა. ფუთის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ზვრები გადახურულ ფართობებში როდია გაშენებული. ოთოლი და წვიმა აქაც მოდიოდა. მაგრამ ფუთელებმა გონივრულად, მაქსიმალურად გამოიყენეს დარიანი დღეები და უკვე დაამთავრეს ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, სულ მალე სხვასაც მორჩებიან. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ც. გელაშვილი თავს დასტრიალებს თითოეულ მენაკვეთეს, შესრულებული სამუშაოების ხარისხისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრა აგრონომებსა და ბრიგადირებს. ეს ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც ასეთ ზომებს ნაყოფიერ შედეგებამდე მივყავართ

ეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ● საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის წინ

მოსაზრებანი, წინადადებანი

იქ, სადაც ვცხოვრობთ

სხვებთან ერთად, მე, როგორც ხანდაზმული კომუნისტი, დიდი კმაყოფილებით შევხვდი ცნობას, რომ სულ მალე, აპრილში, ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, მათი მუშაობის სტილის სრულყოფის საკითხებზე.

ვფიქრობ, არჩევანი შემთხვევითი როდია, რომ ასეთი დიდი მასშტაბისა და მნიშვნელობის ღონისძიება საქართველოში ეწყობა. მე ყურადღებით ვადევნებდი თვალს შარშან გამართული პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების პირველი რესპუბლიკური კრების მასალებს, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა, და დავრწმუნდი, თუ როდენ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ჩვენთან იმისათვის, რომ უფრო გაიზარდოს პარტიის ძირეული კოლექტივების როლი და ავტორიტეტი.

რა გვჭირდება საამისოდ? თითოეული ჩვენგანის აქტიურობა, მეტი დაინტერესება პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობით. პირადად მე ახლა პენსიაზე ვარ (უკანასკნელად მცირეგანმარტებანი ტრაქტორების ქარხანაში ვმუშაობდი), მაგრამ პარტიულ მუშაობასთან კავშირი არ გამიწყვეტია, ვასრულებ დავალებებს, გამოცდილებას ვუზიარებ ახალგაზრდა კომუნისტებს, ვეხმარები, რომ მათ მუდამ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ჰქონდეთ.

მე ვერ დავრჩები გულგრილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვისადმი საკავშირო კონფერენციის მოწვევასთან დაკავშირებით. ამიტომ ვიყენებ, ჩემი აზრით, ერთ მნიშვნელოვან საკითხს, იგი ეხება კომუნისტის მოვალეობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

როგორც მოგეხსენებათ, კომუნისტები პარტიის წესებით დაკისრებულ მოვალეობას ძირითადად სამუშაო ადგილზე, თავიანთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ახორციელებენ. ეს, ცხადია, ასეც უნდა იყოს. მაგრამ სამუშაოს შემდეგ, როცა ისინი შინ ბრუნდებიან, რატომღაც აღარ აინტერესებთ თავიანთ საცხოვრებელ სახლში არსებული მდგომარეობა, შვილების, ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობა ეზოსთან, მეზობლებთან. იქ კი ბევრი რამ ხდება ისეთი, რასაც პარტიის წევრების ყურადღება სჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხშირად იმისთვისაც „ვეღარ იცლიან“, რომ თვალყური ადევნონ, როგორ იქცევიან და სწავლობენ მათი საკუთარი შვილები.

მე ქუთაისში, კიროვაბადის ქუჩაზე ვცხოვრობ. ჩემი ინიციატივით ამ ქუჩაზე განლაგებული ბინები კვარტალად დაგყავით, რომ მცხოვრებლებმა ერთმანეთთან იმეზობლონ, თითოეულ ამ სამეზობლოში გაერთიანებულ 10-12 ოჯახი და მათს ურთიერთობას საუბნო-სამეთვალყურეო კომისიებთან ერთად კომუნისტები წარმართავენ. თავისუფალ დროს ხშირად ვიკრიბებით და ვაწყობთ ლექციებ-საუბრებს, თვალყურს ვადევნებთ მოზარდების აღზრდას, მათს წესიერ გართობა-დასვენებას, მართლწესრიგის დაცვას, ჯანსაღ მეზობლურ ურთიერთობას.

არ ვიცი, სხვები რას იტყვიან ამ საკითხებზე, შეიძლება შემომდგომ კიდეც, კომუნისტი ხომ ყველგან კომუნისტია, მათ შორის საცხოვრებელ ადგილსაც და შენი რა მოწოდება გვჭირდებაო, მაგრამ მე მხედველობაში მაქვს ამ მხრივ ორგანიზებულობა და სისტემურობა.

კარგი იქნება, თუ საკავშირო კონფერენციის მონაწილენი დაინტერესდებიან საცხოვრებელ ადგილას კომუნისტთა კონკრეტული შოვალეობის საკითხებით. იმსჯელებენ განსაკუთრებით პენსიონერი კომუნისტების როლზე, რომლებიც კვლავ, ცხოვრების შუაგულში უნდა იყვნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენს ყოფაცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაჭრაში.

ჩემი აზრით, ზემდგომი პარტიული კომიტეტები მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სახლმმართველობებთან არსებულ ეგრეთწოდებულ ტერიტორიულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, რადგან მათ ძალიან ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ადგილებზე საზოგადოებრივი მიკროკლიმატის გაჯანსაღებისათვის.

რ. ლომთაძე,
შრომის ვეტერანი, 1944 წლიდან სკკპ წევრი, ქუთაისი.

გულით გაკეთებული საქმის მადლი

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციისადმი, ყველა კომუნისტისადმი კარგად გავეცანით. თანაც კი არ წავიკითხეთ მხოლოდ, პარტიული კომიტეტის სხდომაზეც კი განვიხილეთ. შევეცადეთ ჩვენი მუშაობისათვის თვალი დაგვვეყლო იმ მოთხოვნების საფუძველზე, რომელშაც ეს მიმართვა უსახავს პარტიულ ორგანიზაციებს.

საწარმოო გაერთიანება „საქართველოენომანქანის“ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია სწორად, გონივრულად მოწყობილი მუშაობით უზრუნველყოს საწარმოო დავალებათა დროული და ხარისხიანი შესრულება. შარშან პირნათლად გავართვეთ თავი ამ ამოცანას. 1982 წლის საწარმოო გეგმები ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ჩვენთან წარმატებით შესრულდა. გეგმის გადაჭარბებით გამოვუშვით 600 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

წლევანდელი წელიც კარგად დავიწყეთ. იანვარ-თებერვალში ჩვენ წილად უკვე 70 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მოდის. სხვაგვარად არც შეიძლება კოლექტივში, სადაც ყოველი მესამე მუშაკი კომუნისტია. ჩვენთან წარმატებებს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. კომუნისტები დროულად ეხმაურებიან ქვეყნის მოწონავე საწარმოთა ინიციატივებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საწარმოო პროცესის სრულყოფას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

სხვისი სასიკეთო წამოწყების გაგრძელება კარგია, მაგრამ არც საკუთარი ინიციატივაა ურიგო. ახლის გრძნობის მატარებელი, საინტერესო თაოსნობის ავტორი ბევრი კომუნისტი გვყავს. აი თუნდაც ნოვატორი მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტი შ. ჯოხაძე, რომელიც არაერთი კარგი თაოსნობის ინიციატორია. წელსაც, ამ სულ ცოტა ხნის წინათ პარტიულ კრებაზე მოვიწონეთ მისი ინიციატივა — რაც შეიძლება მეტი გამოვიმუშაოთ ყოველ სამუშაო დღეს. ამ თაოსნობის დანერგვა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საწარმოო გეგმების შესრულებას.

მაგრამ რომელმა ჩვენგანმა არ იცის, რომ საქმის ყველაზე დიდი მტერი საკუთარი წარმატებით ტკბობაა და ჩვენც ყურადღებას უფრო გადაუჭერენ პრობლემებს, მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას მივაპყრობთ.

ჩვენი კომუნისტების დიდი ნაწილი ჩაბმულია გაერთიანების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ ზემოხსენებულ მიმართვაში ნათქვამი — „მთავარი, რასაც უნდა მოხმარდეს მეცადინეობა, არის ადამიანთა დარაზმვა მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების რეზერვების მუდმივი ძიებისა და გამოყენებისათვის“ — ცხადია, აქ ნაგულისხმევია არა ზოგიერთი კომუნისტის აქტიურობა, არამედ ყველა, თითოეული ჩვენგანის ნამდვილი პარტიული პოზიცია. უნდა მივაღწიოთ იმისა, რომ ყველა მუშაკმა თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოიყენოს. და მეც არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მთავარი ნაკლი, რომელიც ჩვენს პარტორგანიზაციას (და, სამწუხაროდ, არა მარტო ჩვენსას) აქვს, ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ისიც არის ნათქვამი, გულწრფელად, დაუფარავად ვისაუბროთ ჩვენს ნაკლსა და მიღწევებზეო: ჩვენ ვერა და ვერ შევძელით ყველა კომუნისტის ჩაბმა ცხოველ საქმიანობაში. ზოგიერთი მათგანის მონაწილეობა პარტიულ და საზოგადოებრივ საქმეში მხოლოდ პარტიულ კრებებზე დასწრებით ამოიწურება. ჩვენი პარტორგანიზაციის შემდგომი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ამგვარ კომუნისტებთან მუშაობა გახდება.

მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მიღებული დადგენილების უოუო შესრულებას. ამიტომ შესრულების მიმდინარეობისადმი მკაცრი კონტროლი გვაქვს დაწესებული. ამასთან დაკავშირებით მაინც მინდა აღვნიშნო ერთი რამ: ამა თუ იმ საკითხზე დადგენილება, გარდა იმისა, რომ იგი რაც შეიძლება კომპაქტურად და კონკრეტულად უნდა შევადგინოთ, ობიექტურად შეუძლებელი არ უნდა იყოს მისი რეალიზაცია. ხან ისეთ საკითხს შევეჭიდებით ხოლმე, რომელთა გადაწყვეტა, წინდაწინ ვიცით, ჩვენს შესაძლებლობას აღემატება, ხანაც ისეთ პრობლემებს დავავალებთ ამა თუ იმ საქმის მოგვარებას, რომელიც თავს ვერ მობამბმ მას. დადგენილებანი ხშირ შემთხვევაში მხოლოდ იწერება და იკითხება. რა ფასი აქვს მას? არავითარი. პარტიულ დავალებათა განაწილების დროს უოუოდ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული დავალების ხასიათი და კომუნისტის შესაძლებლობა, ამასთან სურვილიც. თუ კაცს ისეთ რამეს დავავალებთ, რომლის შესრულებაც შეუძლია და რომელიც მოსწონს კიდეც, ამას რა აჯობებს, გულით გაკეთებული საქმე ყველაზე მაღლიანია.

მიმართვა რომ წავიკითხეთ, პარტიული კომიტეტი შეიკრიბეთმეთქი, ზემოთ ვთქვი. ბევრ საკითხში ჩვენი აზრი და სურვილები დაემთხვა: მაგალითად, ყველას გვსურს, რომ ეკონომიკური განათლების სისტემა, როგორც იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ფორმა მოცემულ ეტაპზე, უფრო კონკრეტული გახდეს. მომავალი სამეცადინო თემის დამუშავების დროს გათვალისწინებულ იქნეს უშუალოდ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, რათა ნებისმიერი მათგანის შესწავლა პრაქტიკულად წაადგეს ამა თუ იმ საწარმოს კოლექტივს, საამქროს, ბრიგადას, რომელიმე პრობლემის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

გვაქვს კიდევ ერთი სურვილი —კარგი იქნება, თუ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შეიმუშავებს იმგვარ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ზემდგომი პარტიული ორგანოების მუშაკების უფრო მეტად დაახლოებას პირველად პარტიული ორგანიზაციების საქმიანობასთან. მათი საქმიანი წინადადებანი, რეკომენდაციები მნიშვნელოვნად დაეხმარება პირველად ორგანიზაციებს იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებაში, რომლებსაც პარტია და მთავრობა, თავად ცხოვრება გვისახავენ.

ნ. ფრუიძე,
საწარმოო გაერთიანება „საქართველოენომანქანის“ პარტიული კომიტეტის მდივანი.



მონდომებით, სიყვარულით

მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგულ წელს მეტად სერიოზული ამოცანები აკისრია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქალაქმეურნეობაშენის“ გალის ხე-ტყის დამამზადებელი და გადამამუშავებელი კომბინატის კოლექტივს. იგი ირკუტსკის ოლქის ნიჟნი უდინსკის რაიონში ყოველწლიურად ამზადებს და გალში შემოაქვს 20 ათას კუბმეტრზე მეტი ხე-ტყე, მიღებული მასალის დამუშავება ხდება კომბინატის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საამქროებში და დახერხილი ფიცრებით, კარ-ფანჯრებით, პარკეტით, ციტრუსოვანთა ნაყოფის და ხილის უუთებით მარაგდება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციები, აგრეთვე რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობები და კოლეუურნეობები.

კომბინატმა შარშან დაამზადა და გამოუშვა 1 მილიონ 850 ათასზე მეტი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 1 მილიონ 748 ათასი მანეთისა. წლეულს განზრახულია დაამზადოს და შემოზიდონ 25 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე, გეგმიური 22 ათასი კუბმეტრის ნაცვლად და გამოუშვან 2 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია.

მაგრამ ამჯერად სასურსათო პროგრამის სხვა საკითხით დავინტერესდით. კომბინატის დირექციამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები.

— შარშან ზაფხულში, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა შ. ქობალიამ, — გადავწყვიტეთ შეგვექმნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეღორეობის ფერმები. ამ წინადადებას კომუნისტები, მთელი კოლექტივი მოწონებით შეხვდა.

მეცხოველეობის ფერმებისათვის საჭირო იყო სათანადო სადგომების და საკვები ბაზის შექმნა. ამისათვის გამოსავალიც მოიძებნა. კომბინატის საერთო მოგებიდან სათანადო სახსრებიც გამოყვეს. გალის რაიონის ხელმძღვანელებია და საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქალაქმეურნეშენის“ (თავმჯდომარე თ. კანდელაკი) პრაქტიკული დახმარებით მოიმარაგეს ხე-ტყე და სხვა საშენი მასალები. გაჩაღდა სამშენებლო სამუშაოები. სტავროპოლის მხარის პეტროვსკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედაში“ შეიძინეს 30 მაღალპროდუქტიული ძროხა, ლატვის სს რესპუბლიკაში — 40 ნეზვი.

ძროხები და ღორები მოათავსეს ახლადაშენებულ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სადგომებში. ფერმებთან ახლოს, რომლის ტერიტორია ხუთ ჰექტარს აღემატება, დაიდგა დამხმარე ნაგებობებიც — სასამინდე, კომბინირებული საკვების საწყობი, დამონტაჟდა სამი მექანიზებული წისქვილი უხეში საკვების საფქვავსაჭრელი აგრეგატები. აშენდა მეცხოველეთა ოთხოთახიანი სახლი, გაიყვანეს ტელეფონი, შეიძინეს ტელევიზორი. მეცხოველეები რეგულარულად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ასევე პირუტყვისათვის რაიონმა საკვები კულტურების მოსაყვანად კომბინატს გამოუყო 50 ჰექტარი აუთვისებელი მიწები სოფლების — ქვემობარღეთისა და ნაბაკევის ტერიტორიაზე, რომელიც მონდომებით დაამუშავეს. დათესეს სიმინდი, სოია, შვრია, ჭვავი, ტურნეფსი. ამ ნათესებიდან ზამთრისთვის მოიმარაგეს 150 ტონა სილოსი, 20 ტონა თივა, 6 ათასი კონა ჩალა და სხვა საკვები. ამით პირუტყვის ნორმალური კვება და გამოზამთრება უზრუნველყოფილია.

მეცხოველეობის ახალი ფერმის მოვლა-პატრონობა საქმის მოყვარულ, ენერგიულ ადამიანებს მიანდეს. კომბინატის ამ დამხმარე წარმოების უფროსად ზოოტექნიკოსი გ. მესხია დაინიშნა, ხოლო ფერმის გამგედ, რაიონის ყოფილი ვეტექიმი კ. საბუღუა. ძროხების მომვლელ-მწველავები სერგო ჭობალია, ზოია კაზარინოვა, ფერმის მექანიზატორი ომარ ნაყოფია მონდომებით, საქმის სიყვარულით შრომობენ. ასეთივე ენთუზიაზმით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მეღორეობის ფერმის მუშაკები ნუცა გაგუა, ზაირა ვახანია და ნიკოლოზ ჩისტიაკოვი. პირველმა შედეგებმაც არ დააყოვნა. შარშანვე კომბინატის ამ ახალმა ფერმამ 18,5 ტონა რძე და 4.800 კილოგრამი ღორის ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს.

წარმატებით დაიწყო ახალი წელიც. ძროხებისა და ღორების კარგმა მოვლა-პატრონობამ განაპირობა მათი რაოდენობრივი მატებაც. ფერმაში უკვე 6 ძროხამ მოიგო. ამ გაზაფხულზე კიდევ 25 ხბოს მოელიან, მრავლდება ღორებიც. ამჟამად აქ ნამატიანად 115 ღორი ჰყავთ.

კომბინატის მეცხოველეთა გადაწყვეტილებაა ძროხების რაოდენობა საკუთარი ნამატით მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის ასამდე გაზარდონ, იყოლიონ 800-1000-ზე მეტი ღორი.

სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში კომბინატის მუშაკთა წვლილის შეტანის პირველი ნაბიჯები მისაბაძია.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ფერმის გამგე კ. საბუღუა, მოსველ-მწველავები ხ. ქობალია, ზ. კაზარინოვა და კომბინატის დირექტორი შ. ქობალია.

ლ. შენგელიას ფოტო.

ყურადღება—მოზარდებს!

საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების კოლეგიების გაერთიანებული სხდომა

გაკვეთილების გაცდენა, უდისციპლინობა, სკოლაში საზოგადოებრივი ინერტულობა სამართალდარღვევით მთავრდება. ასეთია გზა, რომლითაც ზოგჯერ მიდის ზოგიერთი მოსწავლე. ამის შედეგად, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა საერთო შემცირების მიუხედავად, საშუალო სკოლების მოსწავლეები ჯერ კიდევ გვხვდებიან სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი საკუთრების ქურდობის, ავტოტრანსპორტის გატაცების მონაწილეთა, ხულიგანთა შორის.

ამის შესახებ შეშფოთებით ილაპარაკეს საქართველოს სსრ განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების კოლეგიების გაერთიანებულ სხდომაზე. თბილისში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში შეიკრიბნენ ამ სისტემების ხელმძღვანელი მუშაკები, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები, არასრულწლოვან თა საქმეების ინსპექციის თანამშრომლები, რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები. მათ განიხილეს სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობა მოსწავლეთა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

მომხსენებლებმა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. დარჩიამ და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა გ. კვანტალიანმა, კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთლიანად რესპუბლიკაში ბევრი რამ კეთდება არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის აღმოფხვრისათვის. ამ მიმართულებით მუშაობა უფრო კონკრეტული, მიზანმიმართული, თანამიმდევრული გახდა. ამას ბევრად შეუწყო ხელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, „ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური, იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის ოჯახის, მშობელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ.

სახალხო განათლების სისტემაში არსებითმა ცვლილებებმა კეთილნაყოფიერი ნიადაგი შექმნა არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სემესტრულ სისტემაზე გადასვლამ გაუმჯობესა აკადემიური წარმატება და შეამცირა კლასში დარჩენილთა რიცხვი. შემცირდა გაცდენები, უფრო კვალიფიციურად წარმოებს სამართლებრივი პროპაგანდა სკოლებში. სკოლიდან გარიცხული მოზარდები ბედის ანაბარა არ არიან მიტოვებული — მათ კვლავ აბამენ სწავლასა და შრომაში. რამდენიმე რაიონში მუშაობს მშობელთა საზოგადოებანი, რომლებიც პედაგოგებს ეხმარებიან აღზარდონ „ირეულ“ ოჯახში მცხოვრები ბავშვები.

და მაინც, აღინიშნა სხდომაზე, შინაგან საქმეთა ორგანოების სტატისტიკის მოწმობით, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს. მოზარდის არეული ბედი იმ მრავალი ფაქტორის ურთიერთმოქმედების ან უმოქმედობის შედეგია, რომელთა უმეტესი ნაწილი აღზრდის სფეროშია. და რა ორგანიზაციული, სამართლებრივი, მეცნიერულ-მეთოდიკური მეცადინეობაც უნდა გამოვიჩინოთ, პრობლემა ვერ გადაწყდება, თუ არ მოისპო მისი წარმომშობი მიზეზები.

ჯერჯერობით კი გორის, გარდაბნის, სიღნაღის, ამბროლაურის რაიონებში მოზარდთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ ფორმალურად არის ჩაბმული სწავლებაში. ხშირად ფორმალური ღონისძიებებით ცვლიან კონკრეტულ „ძნელად აღსაზრდელ“ ბავშვებთან ინდივიდუალურ მუშაობას. თბილისის ლენინის, პირველი მაისის, გლდანის, ოქტომბრის, 26 კომისრის სახელობის რაიონების, ქალაქების გაგრის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ცხინვალის სასწავლებლების ხელმძღვანელებს ყალბად ესმით სკოლის ავტორიტეტი და ცდილობდნენ კიდეც მიეჩქმალათ მათი ბავშვების მიერ სამართლებრივი ნორმების დარღვევის ფაქტები.

ზუგდიდის, გუდაუთის, წითელწყაროს, ქობულეთის რაიონებში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული ბავშვთა აღზრდის საქმეში შშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ხშირად არც სკოლები, არც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები არ იცავენ მოზარდთა ინტერესებს და არ აღძრავენ საქმეებს შშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ. უფრო მეტიც, ხაზგასმით აღნიშნეს სხდომის მონაწილეებმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებში არ მოქმედებენ დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და დანაშაულთა პროფილაქტიკის საკოორდინაციო კომისიები. ბევრ სკოლაში პროფილაქტიკის საბჭოები მხოლოდ ფორმალურად არის შექმნილი.

სხდომის მონაწილენი აღნიშნავდნენ, რომ სკოლებს საკმარისი კავშირი არა აქვთ საწარმო-დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ამის შედეგად მოსწავლეები სათანადოდ არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, შრომითი კოლექტივები სუსტად მონაწილეობენ მოზარდთა აღზრდაში, არ იყენებენ სპორტულ მოედნებს, აუზებს, სკოლისგარეშე მუშაობის ბაზების შესაძლებლობებს. დასვენების დღეებში პედაგოგები მოსწავლეებს არ ხვდებიან. ბევრი სკოლა ჯერ კიდევ ვერ გახდა ბავშვებთან სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის მართგანზრდელი ცენტრი.

სერიოზულად გააკრიტიკეს შინაგან საქმეთა ორგანოების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციები, რომლებიც სკოლებს მოწყვეტით მუშაობენ. ოპერატიულად არ აწვდიან ინფორმაციას გამოვლენილ სამართალდარღვევათა ფაქტების შესახებ, სუსტად აწარმოებენ მოზარდებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკურ მუშაობას. მილიციის მუშაკები სუსტად აღენენ დანაშაულობათა მიზეზებს, არ ზრუნავენ მათი ლიკვიდაციისათვის.

კოლეგიების გაერთიანებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებულია ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. განსაზღვრულია სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის მიმართულებანი შინაგან საქმეთა ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით, იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის აქტივიზაციის საშუალებანი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

საიმედოობის პასპორტი

ახალციხე. სოფლტექნიკის რაიონული სამსახურის კოლექტივმა კონტროლისა და სტიმულირების პროგრესული სისტემის დანერგვის შედეგად ისე დაიწყო მუშაობა, რომ არც ერთი რეკლამაცია არ მოდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან.

აქ შემოსულ თითოეულ აგრეგატზე ადგენენ „საიმედოობის პასპორტს“. მასში აღინიშნება, თუ რომელმა მუშამ დაამზადა ესა თუ ის დეტალი, აწყო, გაასაბმარისა ძრავა, ასრულებდა სხვა ოპერაციებს. თუ წუნი აღმოჩნდება, ძნელი არ არის იმის გარკვევა, ვინ და რომელ ეტაპზე დაუშვა იგი.

— ახალი სისტემის დანერგვამდე იყო შემთხვევები, როცა გვიბრუნებდნენ ძრავებს, ელექტრომოტორებს, რომლებმაც საგარანტიო ვადის ნახევარიც კი ვერ იმუშავეს, — ბრძანებს ეს მაგალითები აქცია „ვაგონის“ ნაწილია. ამ აქციას, რომლის მიზანია სავაგონო პარკის შემოწმება-გამოყენება, ახორციელებენ „კომკავშირული პროექტორის“ რესპუბლიკური შტაბი და გაზეთები „ლენინური მართალი“ და „მოლოდიოე გრუზიი“ ოპერაცია „რეზერვის“ ფარგლებში. მისი დევიზია „თითოეულისაგან მაქსიმალური უკუგება!“. ოპერაცია შეიცავს სხვა აქციებსაც, რომელთა მიზანია რესპუბლიკის კომკავშირელების, ახალგაზრდების ფართო ჩაბმა წარმოების დამატებითი რეზერვების გამოვლენისათვის ბრძოლაში დისციპლინისა და ორგანიზებულობის ყოველმხრივი განმტკიცების, პასუხისმგებლობის ამაღლების, ყველგან და ყველაფერში ჯეროვანი წესრიგის დამყარების საფუძველზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

კერძოდ, ენერგორესურსების მოხმარებაში არსებული რეზერვების გამოვლენას ითვალისწინებს აქცია „კილოვატი“. აქცია „წუთის“ მიზანია სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობათა რეალიზაცია. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას ისახავს მიზნად აქცია „ზაფხულოფნა“. აქცია „მიწოდება“ გზას უღობავს სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევებს, ხოლო აქცია „გრაფიკი“ კონტროლს უწევს დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგეგმილი ვადების უზრუნველყოფას.

— ოპერაცია „რეზერვი“ მიმდინარე წლის დამლევამდე გასტანს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს „კომკავშირული პროექტორის“ რესპუბლიკური შტაბის. პასუხისმგებელმა მდივანმა ი. ნარმანიამ. — მისი მიმდინარეობის შესახებ მთელი ინფორმაცია თავს იყრის „კომკავშირული პროექტორის“ რესპუბლიკურ შტაბში. აქ მას საგულდაგულოდ ვაანალიზებთ, რის შედეგადაც კომკავშირის რაიონული კომიტეტები კონკრეტულ დავალებებს იღებენ. შესრულებას ვამოწმებთ მეორე დღის ცხობებით, რაც ზრდის თითოეულის პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის. ბუნებრივია, ჯერ ადრეა ოპერაციის შედეგების შეჯამება, მაგრამ უკვე ღღეს ნათელია, რომ მისი უკუგება დიდი იქნება. (საქინფორმი).

კოლექტივი და დისციპლინის მართვა

ДЛЕС ჩვენი ქვეყნის შრომითი კოლექტივების მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების, პლენუმზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის იმპულსით მიმდინარეობს. პლენუმმა გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია დაგეგმვისა და ეკონომიკის მართვის შემდგომი გაუმჯობესებისათვ ი ს, მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის მიმდინარე მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გეგმაზომიერი განვითარების, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანებს.

ამასთან დაკავშირებით პლენუმმა განსაკუთრებით **დიდი მნიშვნელობა მიანიჭა სახელმწიფო, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას ყველა უბანზე, მართვის ყველა სფეროში, მუშაობაში ორგანიზებულობისა და ვერგილიანობის განუხრელ ამაღლებას.** საბჭოთა ადამიანებმა საქმით უპასუხეს პლენუმის გადაწყვეტილებებს, წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი.

გასული წლის ბოლოს, ახალი წლის დაწყების წინ, ქ. მოსკოვის მოწონავე კოლექტივებმა სათავე დაუდეს მეტად დიდმნიშვნელოვან ინიციატივას — გაშალეს მოძრაობა შრომისა და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. მათ მთლიანად მიიწონეს და მოქმედების სახელმძღვანელოდ აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითება: „საჭიროა უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარ დარღვევებს“.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მოწონავე შრომითმა კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულებანი, რომელთა მიზანია შრომის ორგანიზაციის განუხრელი გაუმჯობესება, უყაირათობის, საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რათა სანიმუშო წესრიგი წარმოებაში ყოველი დღის ნორმა გახდეს. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ამ ინიციატივის მნიშვნელობა, რომლის მიზანია საწარმოთა შინაგანი შესაძლებლობების უფრო სრული გამოყენება, წარმოების მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა.

ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე შრომითმა კოლექტივებმა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სახელოვანი შრომითი კოლექტივის დიდმნიშვნელოვანი ვალდებულებანი შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისათვის. უკანასკნელი წლების მანძილზე სწორედ დისციპლინას განმტკიცებამ მისცა შესაძლებლობა საწარმოს თითოეულ მუშაზე თითქმის ერთისამად გაეზარდა გამომუშავება. გორის რაიონის ტყვიავის სოფლის ყრილობის მონაწილეებმა წერილით მიმართეს რესპუბლიკის სოფლის ყველა მშრომელს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს, საწარმოო და ტექნიკური დისციპლინისათვის მოძრაობის გაშლის მიზნით ბიურომ მკაცრად მოჰკითხა ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებისა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყურად არ იღებენ გაზეთის მწვავე სიგნალებს.

თითქმის ექვსი თვე გავიდა, რაც რა

უსასრულობა

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუფყეგა

სამყაროს გარდამქმნელი მოძღვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავთან და გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით აწყობენ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კითხვას: „მარქსიზმ-ლენინიზმი სამყაროს გარდამქმნელი მარად ცოცხალი რევოლუციური მოძღვრებაა".

23 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქალაქო დარბაზში გაიმართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოხსენება თემაზე „კარლ მარქსი და თანამედროვეობა" გააკეთა საქართველოს „კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. გ. სტურუამ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. შ. ენდელაძე, ა. პ. საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე.

ჩვენი ეპოქის დროშა

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში ვერც ერთი სოციალური და პოლიტიკური მოძღვრება ვერ შეედრება მარქსიზმს საზოგადოებრივ აზრზე, საზოგადოებრივ მოძრაობაზე, თვით ისტორიის მსვლელობაზე ზემოქმედების ძალითა და დინამიკით. კარლ მარქსმა და მისმა უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა ფრიდრიხ ენგელსმა იდეური საფუძველი ჩაუყარეს მსოფლიოს რევოლუციურ განახლებას, დაამტკიცეს, რომ საჭიროა და შესაძლებელია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნა ნამდვილად ადამიანურ, სამართლიან კომუნისტურ საწყისებზე. მარქსიზმმა შემდგომი ორგანული განვითარება პოვა ლენინიზმში. ლენინური იდეებით, ამ შემოქმედებითი გამდიდრების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა თანამედროვე ეპოქაზე მარქსიზმის უდიდესი გავლენა და ზემოქმედება. გამართლდა ენგელსის წინასწარმეტყველური სიტყვები მარქსის შესახებ: „მისი სახელი და მისი საქმე იცოცხლებს საუკუნეთა განმავლობაში".

ამ მოძღვრების დიდი მნიშვნელობის შესახებ, მისი განხორციელების საფუძველზე მსოფლიოში მიღწეული ცვლილებების, მარქსენგელს-ლენინის იდეების, კომუნისტების პროგრამის განხორციელებისათვის შემდგომი ბრძოლის გზების, მისი შესანიშნავი შედეგების, სოციალისტური მშენებლობის მომწიფებული პრობლემების შესახებ ნათლად და საფუძვლიანად, ღრმად და კონკრეტულად არის ნათქვამი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთი საკითხი".

მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლის კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავს და გარდაცვალების 100 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელიც 22 მარტს გაიმართა აკადემიის სხდომათა დარბაზში. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ა. ს. ფრანგიშვილმა.

მოხსენება „მარქსიზმი და თანამედროვეობა" წაიკითხა პროფესორმა ვ. ვ. კეშელავამ.

„კარლ მარქსი ისტორიის აზრის შესახებ" — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ზ. ჭავჭავაძემ. „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკაში" — ასეთი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. ვ. გუგუშვილის მოხსენების თემა. მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხები კარლ მარქსის შრომებში" წაიკითხა პროფესორმა ი. მ. კაჭარავამ.

(საქინფორმი).

ვალმოხდილი

აკადემიკოს ივანე ვინოგრადოვის ხსოვნას

საბჭოთა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსი, საყოველთაოდ აღიარებული საბჭოთა მათემატიკური სკოლის მეთაური, აკადემიკოსი ივანე მათეს ძე ვინოგრადოვი.

მათემატიკის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი დარგის — რიცხვთა თეორიის თანამედროვე მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ვინოგრადოვის ბრწყინვალე გამოკვლევებით, მისი ზოგიერთი შედეგი კი მათემატიკაში მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა შორის მოიხსენიება. საკმარისია დავასახელოთ ვინოგრადოვის თეორემა საკმაოდ დიდი ნებისმიერი კენტი რიცხვის სამი მარტივი რიცხვის ჯამის სახით წარმოდგენის შესახებ, რითაც ამოიხსნა გოლდბახის ცნობილი პრობლემა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ, როგორც ამ პრობლემის, ასევე რიცხვთა ანალიზური თეორიის მთელი რიგი პრობლემების ამოსახსნელად ვინოგრადოვმა შექმნა ტრიგონომეტრიულ ჯამთა მეთოდი. ამ მეთოდით ამოიხსნა სხვა მრავალი, არსებითად უფრო ზოგადი ამოცანაც. მიიღო რა ტრიგონომეტრიულ ჯამთა თვისებრივად ახალი შეფასებები, მან ამოხსნა კლასიკური ამოცანები, რომლებიც ეხება მარტივ რიცხვთა განაწილების კანონებს. ვინოგრადოვის მეთოდის შემდგომი განვითარებით მიღებულ იქნა მრავალი ფუნდამენტური შედეგი. ამ მეთოდებმა გამოიყენება პოვა რიცხვთა თეორიის ფარგლებს გარეთაც: ფუნქციათა თეორიაში, მათემატიკურ ანალიზში, ალბათობის თეორიაში და მიახლოებით გამოთვლებში.

აკადემიკოსმა ვინოგრადოვმა დიდი ღვაწლი დასდო მათემატიკაში ახალი მიმართულებებისა და მკვლევართა ახალი კოლექტივების შექმნის საქმეს. დღეს რიცხვთა ანალიზურ თეორიაში მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა საბჭოთა კავშირის არა მარტო წამყვან მათემატიკურ ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, არამედ ბევრ სხვა ქალაქებში.

ქართველი მათემატიკოსები მადლიერების გრძნობით იხსენიებენ იმ კეთილმყოფელ გავლენას, რომელსაც ვინოგრადოვი ახდენდა საქართველოში მათემატიკის მეცნიერების განვითარებაზე. იგი არაერთხელ ჩამოსულა საქართველოში. ინტერესით ეცნობოდა ჩვენი რესპუბლიკის მათემატიკოსთა მუშაობას. ვინოგრადოვის ახლო კავშირს ჩვენს მეცნიერებთან დიდად შეუწყო ხელი მისმა სიახლოვემ გამორჩენილ ქართველ მათემატიკოსებთან, განსაკუთრებით კი აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იგი იყო მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი დაარსების დღიდან და საბჭოთა მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის უცვლელი თავმჯდომარე.

ვინოგრადოვის დიდი მეცნიერული ღვაწლი აღიარა მსოფლიოს ყველა წამყვანმა მათემატიკურმა ცენტრმა. იგი არჩეული იყო უცხოეთის 20-ზე მეტი აკადემიისა და სამეცნიერო საზოგადოების წევრად.

ვინოგრადოვი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრიც.

ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ხალხისა და მეცნიერების წინაშე ვალმოხდილი ადამიანის — ივანე მათეს ძე ვინოგრადოვის ღვაწლი სამუდამოდ დარჩება მეცნიერების საგანძურში.

ე. ხარაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ვ. კუპრაძე,
ნ. ვეკუა,
გ. ჭოლოფშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები.

● ნიკარაგუა

საკადრისი პასუხი

მანაგუა. სანდინისტური სახალხო არმია, ნიკარაგუის სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და სანდინისტური სახალხო მილიციის რაზმები ახორციელებენ კონტრრევოლუციური დაჯგუფებების დევნის, ალყაში მოქცევისა და მოხპობის ოპერაციებს. როგორც ცნობილია, ისინი ქვეყნის ტერიტორიაზე შემოგზავნეს ჰონდურასიდან ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

როგორც ნიკარაგუის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლო რივასმა განაცხადა, კონტრრევოლუციონერებმა, რომელთა რიცხვი 1200 კაცს აღწევს, ყველაზე დიდი აქციები განახორციელეს ნუევა-სეგოვიას დეპარტამენტის ულილია და კილალის რაიონებში. სომოსელთა ბანდები, თქვა მან, ნიკარაგუის შეიარაღებული ძალების მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდნენ. სან-ხუანდელ-რიოკოკოს დასახლებული პუნქტის მიდამოებში გაფფრენებული ბრძოლების დროს ინტერვენტებს დიდი ზარალი მოუვიდათ და უკან დაიხიეს. ამჟამად ამ ზონაში მყოფი სომოსელთა სამხედრო ქვეგანაყოფები მთლიანად ალყაში მოაქციეს სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა. ორმა სხვა კონტრრევოლუციურმა დაჯგუფებამ, რომლებშიც ას-ასი კაცია, სცადა გაჭრილიყო ბოაკოსა და ჩონ-ტალესის დეპარტამენტებისაკენ, მაგრამ ნიკარაგუის ჯარებმა ისინიც შეაჩერეს.

სახალხო არმიამ, თქვა პ. რივასმა, მათ ჰონდურასისაკენ მიმავალი გზა მოუჭრა, მოუსპო შესაძლებლობა, რომ მიიღონ დამატებითი აღჭურვილობა ამ ქვეყანაში განლაგებული თავიანთი ბაზებიდან.

ვერ შეთანხმდნენ

ბრიუსელი. „წინააღმდეგობანი „საერთო ბაზრის" ძირითადი პრობლემების გამო ვერ აღმოფხვრეს", — ასე ახასიათებენ ადგილობრივი მიმომხილველები ევროპის გაერთიანებათა ხაბჭოს ხესიას, რომელიც გაიმართა ხახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა დონეზე.

პრაქტიკულად არც ერთ განხილულ საკითხზე არ მიუღიათ კონკრეტული გადაწყვეტილებანი. ძირითადად ეს ეხება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების უმწვავეს პრობლემას — უმუშევრობას: „ზედმეტი ადამიანების" არმიაშ „ათეულში" მიაღწია 12,3 მილიონ კაცს, რომელთაგან 40 პროცენტი ახალგაზრდობაა.

მოუგვარებელი დარჩა დავა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტში დიდი ბრიტანეთის ფინანსური შენატანის რაოდენობასთან დაკავშირებით. წინანდებურად სხვადასხვა პოზიციებიდან გამოდიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოები გაერთიანებაში ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების საკითხში. ერთიანობა არ არის აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გამო, როგორიცაა „საერთო ბაზრის" დაცვა ამერიკის შეერთებული შტატების პროტექციონისტული აქციებისაგან ფოლადსამსხმელო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

„ათეულს" ლიდერებმა მოიწონეს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფინანსთა მინისტრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებულ ევროპის სავალუტო სისტემაში მონაწილე ფულის ხუთი ეროვნული ერთეულის რევალვაციისა და სამი ერთეულის დევალვაციის შესახებ. ეროვნული ვალუტის ესოდენ სერიოზული გადახალისება კიდევ ერთხელ მოწმობს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ეკონომიკური კრიზისის სიღრმესა და „საერთო ბაზარში" მოქმედი სავალუტო სისტემის არაეფექტიანობას.

სოციალისტურ ქვეყნებში

● გდრ

პასუხსაგებნი ამოცანები

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთი ოლქების მიწათმოქმედთა კვალდაკვალ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს შეუდგნენ ჩრდილოეთის რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებისა და სახალხო მამულების მშრომელები. მათ სასუქები შეაქვთ მინდვრებში, თესავენ სადრეო კულტურებს. 250 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ნიადაგში „შეტანილია" მინერალური სასუქები.

წელს რესპუბლიკის კოოპერატორი გლეხების წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგას. მათ საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესონ 608 ათას ჰექტარზე, კარტოფილისათვის გამოიყოფა თითქმის 498 ათასი ჰექტარი.

შაქრის ჭარხლისათვის — 250 ათასი და ბოსტნეულისათვის — 62 ათასი ჰექტარი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინდვრის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შესრულონ მიმდინარე წლის პროგრამა, რომელიც მარცვლეულის მოსავლის 250 ათასი ტონით გადიდებასა და მთლიანად 10,3 მილიონ ტონა მარცვლეულის მიღებას თვალსწინებს.

● ჩეხოსლოვაკია

შუმავის მთებში

პრაღა. სამხრეთ-დასავლეთ ჩეხოსლოვაკიაში „შუმავის მთებში ფართო გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები გაჩაღდა. პრაღის საწარმო „გეოონდუსტრიის" მუშაკთა მთავარი ამოცანაა გამოიკვლიონ ოქროს მოპოვების განაწილების შესაძლებლობა მიტოვებულ კარიერებში, სადაც ერთ დროს მისი აქტიური მოპოვება ხდებოდა.

საბურღი დანადგარების მეშვეობით გეოლოგებმა 350-400 მეტრ სიღრმეს მიაღწიეს. ქანების აღებული სინჯების ანალიზმა ცხადყო, რომ აქ არის ძვირფასი ლითონი, რომელიც უფრო ღრმად მდებარეობს, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ. სპეციალისტებს სადაზვერვო სამუშაოების დროს ელოდა კიდევ ერთი სასიამოვნო „სიურპრიზი" — ერთ-ერთი შტოლნის დამუშავებისას აღმოჩინეს ვოლფრამის მადანი.



ნავთობი რუმინეთის ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული რესურსი და ნედლეულია. ქვეყანას ნავთობის გარკვეული მარაგი აქვს, რომლის მოპოვება 1985 წლისათვის 15 მილიონ ტონამდე გაიზრდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზღვაო ნავთობ-მოპოვებას. ამჟამად, იუწყება აჯერპრესის საინფორმაციო „ორიზონტი", რომელიც შავ ზღვაში სამუშაოებისათვის არის გათვალისწინებული (სურათზე).

აჯერპრეს-საკადესის ფოტო.

● უნგრეთი

უმცირესი დანახარჯებით

ბუდაპეშტი. უმაღლესი ხარისხი უმცირესი დანახარჯებით — ასეთია უნგრეთის სამკერვალო საწარმოებში გამოცხადებული კოსკურსის დევიზი. ახალგაზრდებმა, სოციალისტური შრომის ბრიგადებმა უშუალოდ სამუშაო ადგილებზე უნდა გამონახონ და წამოაყენონ დასანერგად ქსოვილის დაზოგვის, მოწყობილობის უფრო რაციონალური გამოყენების, შრომის ორგანიზაციის, პროდუქციის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების ახალი მეთოდები.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, რომელსაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში ეწევიან, ხელს უწყობს საზღვარგარეთის ბაზრებზე უნგრეთის ტანსაცმლის წარმატებას. დაგის პროდუქციის დაახლოებით ნახევარი საექსპორტოდ იგზავნება, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ ქვეყნებში.

● კამპუჩია

აღადგენენ წყლის ტრანსპორტს

პნომპენი. მიმდინარეობს კამპუჩიის წყლის ტრანსპორტის მუშაობის აღდგენა. შარშან პნომპენის სამდინარო ნავსადგურში 48 ათას ტონაზე მეტი ტვირთი დაამუშავეს.

დიდი სამუშაოებია გაწეული ახალი სანავსადგურო ნაგებობების აღდგენა-მშენებლობისათვის, მდინარის კალაპოტის გაწმენდისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს წელს ტვირთზიდვის მოცულობას. ნავსადგურის მშრომელებისათვის გაიხსნა ტექნიკური და სამმართველო კადრების მომზადების კურსები. კამპუჩიელ დოკერებს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის, სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტები.

● საფრანგეთი

ახალი მთავრობა

პარიზი. საფრანგეთში შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც წინანდებურად სათავეში ჩაუდგა პ. მორუა. მთავრობის ახალ შემადგენლობაში, პრემიერ-მინისტრის გარდა, შედის 14 მინისტრი და ერთი სახელმწიფო მდივანი. მათ შორის 12 სოციალისტია, 2 —კომუნისტი და ერთი —მემარცხენე რადიკალთა მოძრაობის წარმომადგენელი. წინა შემადგენლობაში იყო 25 მინისტრი. სახელმწიფო მინისტრების პოსტები გააუქმეს.

გამოაცხადეს, რომ მინისტრ-დელეგატები და სხვა სახელმწიფო მდივნები მოგვიანებით დაინიშნებიან.

იმ მინისტრებს შორის, რომლებსაც წინათ საკვანძო პოსტები ეკავათ და პორტფელები შეინარჩუნეს, არიან: კ. შეისონი— საგარეო ურთიერთობის მინისტრი, გ. დეფერი — შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის მინისტრი, შ. ერნიუ— ეროვნული თავდაცვის მინისტრი, შ. ფიტერმანი (კომუნისტი) — ტრანსპორტის მინისტრი.

გაფართოვდა ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის ჟ. დელორის ფუნქციები, რომელიც ეკონომიკის, ფინანსთა და ბიუჯეტის მინისტრი გახდა.

ადგილობრივი მიმომხილველები კომენტარებში აღნიშნავენ, რომ მთავრობის რეორგანიზაცია მიზნად ისახავს უფრო კომპაქტური და შეკავშირებული კაბინეტის შექმნას, რომელიც უფრო ეფექტიანად გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე არსებულ რთულ ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს. მეორე მხრივ, უმრავლესობის აზრით, პ. მორუას პრემიერ-მინისტრის პოსტზე დატოვება მოწმობს, რომ მთავრობის პოლიტიკა ზოგადად იგივე დარჩება.

ქენევის მოლაპარაკებაზე

ქენევა. აქ გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ქენევა. აქ გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

● გფრ

მინისტრთა პოსტები განაწილდა

ბონი. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სამთავრობო კოალიციის შექმნის შესახებ მოლაპარაკების დროს მიღწეულია შეთანხმება მინისტრთა პოსტების განაწილების თაობაზე. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავრობას სათავეში ჩაუდგება ჰელმუტ კოლი. საგარეო საქმეთა მინისტრი კვლავ იქნება თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ჰანს-დიტრიხ გენშერი. თავდაცვის მინისტრის პოსტი შეინარჩუნა მანფრედ ვერნერმა.

ახალ მთავრობაში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პარტიამ მიიღო 8 პორტფელი, ფრანც-იოზეფ შტრაუსის პარტიამ — ქრისტიანულ-სოციალურ მ ა კავშირმა — 5 (წინა მთავრობაში მას ოთხი პოსტი ეკავა) და თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ — 3, ესე იგი ერთი მინისტრით ნაკლები წინანდელთან შედარებით.

ამ გარემოებას პოლიტიკური მეთვალყურენი ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პოზიციების გაძლიერებით ხსნიან, რომელმაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში 6 მარტს ამომრჩეველთა დამატებითი ხმები მიიღო.

მომდევნო დღეებში სამთავრობო კოალიციის პარტნიორები განაგრძობენ მოლაპარაკებას ახალი მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელი რიგი მომენტების დასაზუსტებლად.

● ინდოეთი

ვითარება უმჯობესდება

დელი. ინდოეთის ასამის შტატში, სადაც მომდინარე წლის დამდეგს შეტაკება მოხდა რელიგიურ-თემურ საფუძველზე, შესამჩნევად უმჯობესდება ვითარება, განაცხადა ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პ. ჩ. სეთხიმ პარლამენტის ქვედა პალატაში გამოსვლისას.

მან თქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფალნი სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა კანონიერება და წესრიგი აღადგინონ შტატის ტერიტორიაზე, აგრეთვე დახმარება გაუწიონ არეულობის დროს დაზარალებულ ოჯახებს.

ამერიკის ნამდვილი სახე

პროვოკაციული თავყრილობა

ვაშინგტონი. აფართოებს გამოუცხადებელ ომს ავღანეთის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კვლავ დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის მთავარ ორგანიზატორად მოევლინა მსოფლიოს. თეთრი სახლის წინ მოეწყო პროვოკაციული თავყრილობა, რომელზეც შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკალთაებული ბასმაჩი ნაძირალების მეთაურები.

მტრული თავყრილობა მოეწყო რეგანის ადმინისტრაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ინიციატივით, რომლებმაც 21 მარტი ეგრეთ წოდებულ „ავღანეთის დღედ" გამოაცხადეს. მასზე „მთავარ სტუმრად" მიიწვიეს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის თანამშრომლები და მთელი რიგი კონგრესმენები. პირწავარდნილ ბანდიტებს, რომელთა ხელებს არ შეშრობია ავღანეთის უდანაშაულო მშვიდობიან მცხოვრებთა სისხლი, „მისასალმებელი ელეგრამით" მიმართა თვითონ თეთრი სახლის მეთაურმა, რომელმაც მათ პირფერულად უწოდა „თავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლები". რ. რეიგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია აპირებს მნიშვნელოვნად გააფართოოს გამოუცხადებელი ომის მასშტაბი ავღანეთის რევოლუციის ჩასახშობად.

როგორც არაორაზროვნად აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტმა, ბასმაჩები „მარტო არ არიან". იმას, თუ რა ჰქონდა კონკრეტულად მხედველობაში მას, მოწმობს პრესის მონაცემები, რომელთა თანახმადაც ტერორისტული ბანდებისათვის ამერიკის შეიარაღების მიწოდების მოცულობა ბოლო დროს 2-3-ჯერ გაიზარდა.

მეტისმეტად გულახდილი იყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ე. აბრამსიც. შეეხო რა ბასმაჩების ბანდიტურ გამოხდომებს, რომლებიც სიკვდილსა და ნგრევას თესენ ავღანეთის მიწა-წყალზე, მან პირდაპირ განაცხადა, ეს ჩვენი ბრძოლაცაო.

ასეთი განცხადებების მიზანია „ფსიქოლოგიური ფონი" შეუქმნან ავღანელ ტერორისტთა მხარდაჭერის შემდგომი გაჯანსაღებისა ვაშინგტონისეულ გეგმებს. თეთრ სახლთან მოწყობილ თავყრილობაზე შემოხვევით როდი გამოაცხადეს, რომ კონგრესში მალე შეიტანენ რეზოლუციას, რომელიც ითხოვს, როგორც თქვა, კერძოდ, სენატორმა ჩ. გრასლიმ, „ბასმაჩებისათვის მატერიალური დახმარების გაფართოებას".

ამასთან დაკავშირებით აქ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ „ეს საკანონმდებლო მანევრი" არსებითად აშკარა ხასიათს ანიჭებს ავღანეთის რევოლუციის წინააღმდეგ ამერიკის საიდუმლო ომს.

ვაშინგტონის მზაკვრობა

ვაშინგტონი. ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში 40-მდე შეიარაღებული კონფლიქტი გრძელდება, რომლებიც ათასობით ადამიანს იწირავს და მრავალი მილიარდი დოლარი ჯდება. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ სამხედრო პრობლემების საინფორმაციო ცენტრის კვლევითი ორგანიზაციის მოხსენებაში.

მარტო 1975 წლიდან 1979 წლამდე პერიოდში, აღნიშნავენ მოხსენების ავტორები, ნატოს ქვეყნებმა კონფლიქტების მონაწილე სახელმწიფოებს 26 მილიარდი დოლარის იარაღი და სამხედრო მოწყობილობა მიაწოდეს.

ამერიკის შეერთებული შტატები, ნათქვამია მოხსენებაში, ამ ომებისა და კონფლიქტების უმრავლესობაში უშუალოდ მონაწილეობს, მეომარ ქვეყნებს აწვდის იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

მარტო 1982 საფინანსო წელს, ამერიკის სამხედრო დახმარებამ უცხოეთის ქვეყნებისადმი 6,5 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო ათ წელიწადში — 1972-დან 1982 წლამდე — 51 მილიარდი დოლარი. 1982 წელს ამერიკელი ინსტრუქტორები საბრძოლო ოპერაციების წარმოებას ასწავლიდნენ 5 ათასამდე უცხოელ სამხედრო მოსამსახურეს, ხოლო ბოლო 30 წელიწადში — 350 ათას უცხოელ ჯარისკაცსა და ოფიცერს.

მსოფლიოს ხალხებისათვის კონფლიქტების განგრძობის დამღუპველი შედეგების მიუხედავად, შეერთებული შტატები ფართოებს თავის მონაწილეობას ამ კონფლიქტებში. ამას მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ 1984 საფინანსო წლის ბიუჯეტში, რომელიც რეგანის ადმინისტრაციამ კონგრესს წარუდგინა, გათვალისწინებულია სამხედრო დახმარება ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების მონაწილე 24 ქვეყნისათვის.

ფოტოფაქტი

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს დამკვიდრდეს ლიბანის მიწა-წყალზე. დამასკოში გამომავალი ყოველკვირეული „ალ-ბადაფი" აღნიშნავს მჭიდრო კავშირს ლიბანში ისრაელის შეიარაღებულ შეჭრასა და ამერიკის ჯარების შეყვანას შორის.

პრესა აღნიშნავს, რომ ამჟამად ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა ჯარისკაცებმა კონტროლი დაუწესეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს— ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტს, სამხრეთ ლიბანისაკენ მიმავალ გზატკეცილს.

სურათზე: ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ბეირუთის აეროპორტში.

აპ.-საკადესის ფოტო.

● კრესა ალბასტურებს

ოგსვრეჟიორნისეული პოგიცია

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაცია ყენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ბლოკირებისათვის განაგრძობს ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტის" გამოყენებას, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ განიარაღებას.

როგორც გულახდილად აღიარებს ოფიციალურ ვაშინგტონთან დაახლოებული ჟურნალი „ი. ს. ნიუს ენდ უორლდ რიპორტი", რეიგანის პოლიტიკა ყენევის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით არსებითად კოსმეტიკურ მანევრებს ითვალისწინებს, რომელთა მიზანია, შეეცადოს „დაამშვიდოს დასავლეთევროპელი მოკავშირეები" ბუნდოვანი გამონთქვამებით კომპრომისის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ არ წამოაყენოს არავითარი ახალი წინადადება. ვაშინგტონი, პირდაპირ წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი", მიზნად ისახავს „მოიგოს დრო დასავლეთ ევროპაში მიწისზედა ბაზირების ახალი ამერიკული რაკეტების განლაგებისათვის".

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, ამ ობსტრუქციონისტულ პოზიციაში პრეზიდენტ რეიგანს მხარს უჭერენ თავისი მილიტარისტული შეხედულებებით ცნობილი უახლოესი მრჩევლები: თავდაცვის მინისტრი კ. უაინბერგერი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების დარგში უ. კლარკი, მინისტრის რანგის მრჩეველი ე. მიზი.

საგულისხმოა, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი", რომ სსრ კავშირის მიმართ მკაცრი კურსის სწორედ ეს მომხრენი შეადგენენ წინათ იმ „ჯგუფს ადმინისტრაციაში", რომელიც მხარს უჭერდა ციმბირ-დასავლეთ ევროპის გაზსადენისათვის მოწყობილობის მიწოდების სავაჭრო აკრძალვების პოლიტიკას, ამერიკის შეერთებულ შტატებს უდიდესი „ფიასკო რომ განაცდევინა შარშან".

ამ სახიფათო კურსს, რომელიც მიზნად ისახავს განიარაღებისადმი კონტროლის დარგში მეცადინეობისა და ევროპის კონტინენტზე შექმნილი ძალების მიახლოებითი ბალანსისათვის ძირის გამოთხრას, სულ უფრო მეტად აკრიტიკებენ ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი დასავლეთევროპელი მოკავშირეებიც კი. როგორც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" აღნიშნავს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის მთავრობების აზრით, რეიგანის ადმინისტრაციამ ყენევაში უნდა გადადგას ნაბიჯი, რომელიც ნდობას დაამსახურებს, რათა მოლაპარაკება დაიძრას მკვდარი წერტილიდან. ევროპელ მოკავშირეებს თითქმის ერთსულოვანი აზრი აქვთ იმის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს თავის მხრივ „ვაშინგტონ პოსტი", რომ დრო დადგა შეერთებულმა შტატებმა შეცვალოს თავისი პოზიცია ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე.

შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესდა შიო მღვიმელის სახელობის პრემია, რომელიც ამიერიდან ყოველ წელს საბავშვო წიგნის საკავშირო კვირეულის წინა დღეებში მიენიჭებათ საბავშვო მწერლებს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

და აი, ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა ნ. დუმბაძის თავმჯდომარეობათ შიო მღვიმელის სახელობის პრემია მიანიჭა მწერლებს — როდიონ კალენიკეს ძე ქორქიას, გიორგი დავითის ძე ნახუცრიშვილსა და ქეთევან შიოს ასულ ჭუჩუკაშვილს.

სიტყვას ვაძლევთ ლაურეატებს:

რ. ქორქია — მოთხრობა „მარილის აკვანში“ ეტყობა, დღესაც აღელვებს მოზარდებს, ამას მათი წერილები მოწმობს, და მე ბედნიერი ვარ, რომ ეს ნაწარმოები ისევე საჭირო ყოფილა დღევანდელი თაობისათვის, როგორც მათი მამა-პაპისათვის იყო. წელს შემოდგომაზე ოთხმოცდაათისა ვხდები, და თუ რაიმეს ვაკეთებ, ისევ მოზარდებისათვის. დიდ სიხარულს განვიცდი შიო მღვიმელის პრემიის მონიჭებით, მადლობა ყველას, ვინც ჩემი მცირეოდენი წვლილიც დაინახა და ესოდენ დააფასა.

ბ. ნახუცრიშვილი — დამერწმუნებით, რაოდენ ძნელია მოზარდებისათვის წერა. აქ ხომ საოცარი სიმართლეა საჭირო. მაგრამ უდიდესი ბედნიერებაა იმის შეგნება, რომ შენ მომავლის აღზრდას ემსახურები. კვლავაც არ დავიშურებ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობისათვის სამსახურს.

ძ. ჭუჩუკაშვილი — უპირველესად დიდი მადლობა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, მწერალთა კავშირს, ყველას, ვინც ასე დააფასა ჩემი მამის — შიო მღვიმელის ღვაწლი და მისი სახელობის პრემია დააწესა. ეს ფაქტი უეჭველად კიდევ უფრო აამაღლებს ქართული საბავშვო ლიტერატურის დონეს, რაც შეეხება მამის სახელობის პრემიის მონიჭებას, ამაზეც მადლობის მეტი რა მეთქმის, რადგან ალბათ, ბამგიგებთ, თუ რაოდენ ძვირფასია იგი ჩემთვის.

ახლა კი სიტყვა მივცეთ საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარეს **ხუტა ბერულავას:**

შიო მღვიმელის, სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები ჩვენი მოზარდების საყვარელი მწერლები არიან. მათს შემოქმედებას კარგად იცნობს ფართო საზოგადოებრიობა.

თაობები აღიზარდა ღვაწლმოსილი მწერლის როდიონ ქორქიას ბრწყინვალე მოთხრობაზე „მარილის აკვანში“, მისი მოთხრობების წიგნზე „კარგი ამხანაგი“, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ეძღვნება, მანვე ქართულ ენაზე თარგმნა ნიკოლოზ ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და ა. შ.

მკითხველებისათვის, მაყურებლებისათვის, დაუვიწყარია აგრეთვე გიორგი ნახუცრიშვილის მშვენიერი პიესები „სიჭაბუკე ბელადისა“, „ბორის ძნელაძე“, „ნაცარქექია“, „კომბლე“, „აჩაკუნე“, „ჭინჭრაქა“, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც წარმატებით იდგმება როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის თეატრების სცენაზე.

თავისი ძვირფასი მამის გზა განაგრძო ქეთევან ჭუჩუკაშვილმა. იგი ძირითადად ბავშვებისათვის წერს. მისი პიესები „ზამთრის ზღაპარი“, „კონკია“, „გოგო ხოხესია“, წარმატებით დაიდგა მოზარდ მაყურებელთა თეატრებში.

ვულოცავთ დამსახურებულ დაფასებას ამ პრემიის პირველ ლაურეატებს!

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲔᲑᲘ

გუშინ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის მეოთხე-ფინალური მატჩის მეექვსე პარტია ნონა გაფრინდაშვილსა და ირინე ლევიტინას შორის არ შედგა — ტაიმ-აუტი აიღო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 ლევიტინას სასარგებლოდ. მეექვსე პარტია უნდა გაიმართოს 25 მარტს.

ავსტრიის ქალაქ ფელდენში კი ასეთივე მატჩის მეორე პარტია ნინა იოსელიანმა შავი ფიგურებით მოუგო ჩინელ ლაქ ბაღრახს და დაწინაურდა — 1,5:0,5. თავდაპირველად იოსელიანმა ძლიერი პოზიცია მიიღო ცენტრში. ამის მერე იგი ციტნტრში მოხვდა, მაგრამ კარგად გაერკვა რთულ სიტუაციაში და დამაჯერებლად წარმართა ენდშპილი. 35-ე სვლაზე ლიუ შილანი დანებდა. რაც შეეხება მოჭადრაკე ვაკეების ვასილ სმისლოვისა და რობერტ ჰიუბნერის (გფრ) მეოთხეფინალურ მატჩს, იგი ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. ვარაუდობენ, რომ ამ მოჭადრაკეთა პირველი პარტია 24 მარტს გაიმართება.

ᲘᲐᲕᲜᲐᲜᲐᲗᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲥᲕᲐᲠᲣᲚᲘ

დღეს თბილისში იხსნება საბავშვო და მოზარდთა მუსიკის ტრადიციული კვირეული





ალბათ არ არსებობს ბავშვი, არდადეგები რომ არ უყვარდეს; ამ დროს ხომ უამრავი გასართობია — ახალი სპექტაკლები და ფილმები, ექსკურსიები და გამოფენები, შეხვედრები და საღამოები, და, რაც ყველაზე მთავარია, არის თავისუფალი დრო, ხარკი რომ გადაუხადო საკუთარ გატაცებას...

აი, ახლაც საგაზაფხულო არდადეგების ჟამს ემთხვევა საბავშვო და მოზარდთა მუსიკის საკავშირო კვირეული, რომელიც ამდენ სიამოვნებას ჰპირდება მუსიკის ნორჩ მოყვარულთ.

კვირეულთან დაკავშირებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, საბავშვო და მოზარდთა მუსიკის სექციის თავმჯდომარეს რამაზ ქარუხნიშვილს ვთხოვეთ ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— რომელი წლიდან იღებს ხალხის ხაბავშვო კვირეულის მოწყობის ტრადიცია?

— კვირეული მეთორმეტე წელია ზედიზედ იმართება და პირველად 1971 წელს, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით მოეწყო. იგი მთელ კავშირში ერთდროულად იმართება ბავშვთა საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში და მიზნადაც სწორედ ნორჩთა ესთეტიკურ აღზრდას, მათი შემოქმედების სტიმულირებას ისახავს.

— ამჯერად, რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?

— დღეს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კვირეული საზეიმოდ გაიხსნება, პროგრამით დაგეგმილია პროფკავშირთა საკლუბო დაწესებულებების თვითმოქმედი კოლექტივებისა და თბილისის სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა კონცერტები. ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საკონცერტო დარბაზი სასახლის მხატვრული კოლექტივების გამოსვლებს დაეთმობა, კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოეწყობა კონცერტი — „ქართველი კომპოზიტორები ბავშვებს“. პროფკავშირთა სასახლე თბილისის სამუსიკო და ქორეოგრაფიული სასწავლებლებისა და ფალიაშვილის სახელობის სპეციალური სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლებს. დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნითი კონცერტი, ხოლო კვირეული საზეიმოდ დაიხურება თბილისის სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა გამოსვლებით.

— რა ფაქტორი განსაზღვრავს მოზარდის მუსიკალური ნიჭის გამოვლენას და ჩამოყალიბებას?

— მრავალი... უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ბოლო ხანს მდგომარეობა გამოსწორდა. კერძოდ, ტელერადიოკომიტეტთან ჩამოყალიბდა ბავშვთა გუნდი ზურაბ სიხარულიძის ხელმძღვანელობით, შეიქმნა მუსიკის მოყვარულთა კლუბი, რომელსაც ჯანსუღ კახიძე უძღვება, რადიოთი გადაიცემა სიმღერის გაკვეთილები თემურ ქეცხაშვილის ხელმძღვანელობით; ასეთი პირობები ხელს უწყობს. მოზარდის ბუნებრივი ნიჭის განვითარებას, და თუ მას ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა და მოწოდება დაემატება; ნორჩი შემოქმედისაგან უთუოდ ბევრს უნდა ველოდეთ.

— წლევანდელი კვირეულის პროგრამაში რა სიახლეა?

— მასობრივობა, მუსიკისადმი უფრო მეტი ინტერესი და ენთუზიაზმი. ისევე როგორც შარშან, ჩვენი ბავშვები მოუსმენენ მოსკოველ თანატოლებს და პირადადაც შეხვდებიან მათ.

და მაინც, საიდან იწყება მუსიკის სიყვარული? იქნებ იმ წუთიდან, როდესაც მოზარდი პირველად მოუსმენს ჯადოსნურ ხმებს? ან იქნებ იმ დროიდან, ბავშვი ყოყმანით, მოწიწებით და გაუბედავად რომ აიღებს პირველ აკორდს? იქნებ, სულაც ამ შეუცნობელი წამიდან, როდესაც პატარა აკვანშივე ეზიარება იავნანას იმ ტკბილ და დაუვიწყარ ჰანგებს, რომელიც მთელი სიცოცხლე თან ახლავს, და მუსიკის ჯადოსნურ სამყაროშიც პირველმეგზურობს.

ი. კუკავა.

კაკალნაყოფიანთა მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1982 წელს მიღებული ცნობილი დადგენილების განსახორციელებლად რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტმა, რომელსაც ამავე დადგენილებით დავალებული აქვს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინაცია, თავიდანვე მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ხასიათის მუშაობა გაშალა კაკლის, პეკანის, ნუშისა და თხილის ჯიშობრივი სტრუქტურის სელექციური გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკაში საუკეთესო სამეურნეო თვისებების მქონე კაკლის 142 ფორმა გამოავლინა ინსტიტუტმა. ასევე შეირჩა პეკანის 5 და თხილის 3 ფორმა, გამორჩეული ფორმებისათვის დამახასიათებელია კარგი გულსავსეობა, მაღალი ზეთშემცველობა, თხელნაჭუჭიანობა და საუკეთესო გემო.

საუკეთესო ფორმების გენეტიკური შემკვიდრეობის შენარჩუნებით, დამუშავდა მათი ვეგეტატიური გამრავლების მეთოდები, რასაც უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს უხვმოსავლიანი პლანტაციების გაშენება-ფორმირებისათვის.

რაკი კაკალი კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიან ნიადაგებს ვერ ეგუება, მისი აქ გაშენებაც შეუძლებელია. ამ მხრივ დიდ ყურადღებას იმსახურებს პეკანი. იგი კარგად ეგუება ჭარბტენიან ნიადაგებს. ამიტომ მისი კარგი ფორმების გამრავლების კურსს დაადგნენ.

მაღალი მთის პირობებში კულტურული თხილის ფორმები მოსავალს არ იძლევა, ამიტომ ინსტიტუტმა გამოავლინა ველური თხილის საუკეთესო ფორმები, დაამუშავა მათი გამრავლების მეთოდები და ბაკურიანის, ხევსურეთის და სხვა მთიან პირობებში გააშენა სამრეწველო დანიშნულების თხილნარები.

გაძლიერდა მუშაობა კაკლის საუკეთესო ფორმების სახელმწიფო ჯიშთა გამოცდაზე გადასაცემად, საამისოდ შეირჩა 3 საუკეთესო ფორმა.

ინსტიტუტს აქვს ახლად ორგანიზებული რესპუბლიკური კაკალნაყოფიანების საცდელ-სამრეწველო წარმოება, რომელიც შეუდგა ხსენებული კაკალნაყოფიანების საუკეთესო ფორმების

ᲙᲐᲙᲐᲚᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲘᲨᲔᲑᲘ

საკოლექციო და სადედე ნაკვეთების, აგრეთვე სანერგე მეურნეობის ორგანიზაციას. შეძენილია საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა.

პეკანის კულტურის სარგავი მასალის გამოყვანის დასაჩქარებლად ინსტიტუტმა დაამუშავა დაბურულ ფესვთა სისტემიანი ნათესარების გამოყვანის ორიგინალური ტექნოლოგია, რამაც საშუალება მოგვცა ერთი წლით შეგვეცირებინა სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანის ვადა. ამასთან ერთად ასეთი ნათესარები მუდმივ ადგილზე დარგვისას გახარების უმაღლეს მაჩვენებელს იძლევა. შედგენილია კაკალნაყოფიანების განვითარების 1982-1990 წლების სამეცნიერო-კვლევითი თემატიკური გეგმა, რომლის შესრულებაში მონაწილეობს ყველა ის სამეცნიერო და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც თავიანთი მუშაობის ხასიათით დაინტერესებული არიან კაკალნაყოფიანების და ხილ-კენკროვანების გამოყვანა-გამრავლებასთან, აღსანიშნავია, რომ 1983 წლიდან გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დროულად და ხარისხოვნად დამუშავებისათვის.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან — ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ნ. კოკოევა, ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ხიდაშელი, ლაბორანტი მ. ტუღუში და ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. რუხაიშვილი ამოწმებენ დაბურულ ფესვთა სისტემით გამოყვანილ კაკლის ნათესარის ხარისხს; ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ჯუმუტაძე არჩევს მყნობისათვის ვარგის კაკლის ხეძარეს; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. მჭედლიშვილი ახარისხებს კაკლის სათესლე მასალას; სხვადასხვა ფორმის კაკალი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.



ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲛᲐᲡᲠᲘᲜᲫᲚᲔᲡ

ლენინის რაიონის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანებს, მოსწავლე ახალგაზრდობას ამას წინათ პროფკავშირების კულტურის სასახლეში უმასპინძლა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა, რომელმაც სტუმრებს უჩვენა ა. იბრაგიმბეკოვის პიესა „დაკრძალვა კაპლიფორნიაში“.

ეს გულთბილი შეხვედრა ორმხრივი ხელშეკრულების ეგიდით გაიმართა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და დედაქალაქის საქარხნო, გლდანისა და ლენინის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელთა ინიციატივით საზეიმო ვითარებაში გაფორმდა. მას შემდეგ ლენინის რაიონში რეგულარულად ეწყობა ელექტრონიუმის მეცადინეობა დევიზით: „კულტურის უახლოესი მიღწევები — მუშათა კლასს“, იგივ საწარმოთა მშრომელებს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს პროგრესული ხელოვნების საგანძურის საუკეთესო ნიმუშებს აცნობს. ელექტრონიუმში მონაწილეობენ ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

გარდა იმისა, რომ საწარმოებში იმართება სპექტაკლები და კონცერტები, ეწყობა მხატვრული გამოფენები, ხელოვნების ოსტატები ზშირად იწვევენ მათ საკონცერტო და საგამოფენო დარბაზებში. აღსანიშნავია, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ ელექტორიუმის ღონისძიებათა გეგმების შედგენაში, თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების სამხატვრო საბჭოების მუშაობაში.

ახალ დადგმაზე მოსულ მაყურებელს სპექტაკლზე მუშაობის ეპიზოდებზე, მომავლის გეგმებზე ესაუბრა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი რ. სტურუა. მან აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები სასარგებლოა ორივე მხარისათვის, რომ თეატრის კოლექტივისათვის ძვირფასია მუშათა კლასის ყურადღება, მათი შენიშვნები და სურვილები.

ლენინის რაიონის მშრომელთა სახელით საქართველოს კომპარტიის ლენინის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანმა ქ. ლაცაბიძემ მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის, აღუთქვა მასპინძლებს რომ რაიონის მშრომელები თავიანთ წვლილს შეტანენ დედაქალაქის მუშათა კლასისა და ხელოვნების მუშაკთა დაახლოებაში.

ო. ციციშვილი.

„ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ“

„დრამა გრატიაშვილის პოეტურმა სამყარომ, რომლის ბინადარნი არიან ცქრიალა ცნობისმოყვარე პატარები, ძალზე დაინტერესა უკრაინელი მკითხველი“, — ეს სტრიქონები აღებულია სტატიიდან, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი დონეცკის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა. სტატია წამძღვარებული აქვს რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მილსადენადი საამქროს უფროსი კონტროლიორის დორა გრატიაშვილის საბავშვო ლექსებს.

ლიტერატურული გაერთიანების წევრ რუსთაველ მწერალთა შემოქმედებას პირველად სამი წლის წინათ გაეცნენ მოძმე რესპუბლიკის მკითხველები. მაშინ დონეცკის გამომცემლობამ და „მერანმა“ გამოუშვეს ერთობლივი კრებული „ფოლადი და ზღვა“. წიგნში შეეიდა რუსთაველ და ადანაველ - ლიტერატორთა ნაწარმოებები, რომლებსაც მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებთ.

კრებულში დაიბეჭდა დ. გრატიაშვილის ლექსებიც. მას შემდეგ რუსთაველი პოეტის ლირიკული ნაწარმოებები ზშირად ქვეყნდება „ვეჩერნი დონეცკსა“ და „პრიაზოვსკი რაბოჩიში“, კითხულობენ უკრაინის რადიოთი და ტელევიზიით.

ამ რამდენიმე დღის წინათ პოეტმა ვიტალი იურეჩკომ, რომელიც ამ ლექსების მთარგმნელია, დ. გრატიაშვილს გამოუგზავნა წერილი, სადაც, კერძოდ, წერს: „დიდი კმაყოფილებით ვთარგმნი თქვენს ლექსებს, სხვათა შორის, ეს თარგმანები „შეეამოწმებინე“ ჩემს ხუთი წლის ვაჟს პალიკოს, რომელმაც ზოგი რამ „გამისწორა“ კიდეც. მერწმუნეთ, თქვენი ლექსები ძალზე მოსწონთ უკრაინელ ბავშვებს“.

დ. გრატიაშვილის საბავშვო ლექსებით დაინტერესდა უკრაინის რესპუბლიკური გამომცემლობა „ვესიოლკა“ („ცისარტყელა“). გამომცემლობის შეკვეთით ვ. იურეჩკო ამზადებს რუსთაველი პოეტი ქალის ლექსების თარგმანთა კრებულს.

ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲔᲜ ᲬᲘᲚᲜᲐᲧᲐᲠᲝᲑᲘᲗ

მეფის წარმოგზავნილებმა დათვალიერეს ციხისმაგრე, გაიარეს მთავარი ქუჩით, გვერდი აუარეს ნიკოლას ეკლესიას და გენერალ-გუბერნატორის სახლისაკენ შეუხვიეს... ასე ცოცხლად, დაწვრილებით აღწერს სკკპ გორგიევსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ბურლუცკი 200 წლის წინათ რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებულ ამბებს. მისი ნარკვევი „ვამაყობთ წილნაყარობით“ დაბეჭდილ მოამზადა საქართველოს-სსრ საზოგადოება „ცოდნამ“.

თხრობის მკაცრი დოკუმენტურობის მეოხებით,—თქვა საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგემ ვ. ბუაჩიძემ საქინფორმის კორესპონდენტისათვის ვ. ბაბუაძისათვის მიცემულ ინტერვიუში, — ნარკვევის ავტორი მკითხველს წარმოუდგება არა მარტო როგორც გეორგიევსკელთა დღევანდელი ნაწილვანი საქმეების აქტიური მონაწილე, არამედ როგორც ძველი ქალაქის წარსული ცხოვრების, აქ აღწერილი ბევრი ისტორიული ფაქტის ღრმა მცოდნე, ეს, სხვათა შორის, ძალზე ზუსტად არის ნათქვამი მისსავე თანდართულ ბარათში. აი ეს ბარათიც: „მუშაობის პროცესში დამებადა აზრი მომეთხოვა საქართველოსთან გეორგიევსკელთა არა მარტო ძველი და დღევანდელი ურთიერთობის შესახებ, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების დიადი მეგობრობისა და ძმობის ნაწილია, არამედ მომეცა კიდეც ზოგიერთი ცნობა გეორგიევსკის-ისტორიული ტრაქტატის სამშობლოს შესახებ, ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტისადმი მის მცხოვრებთა დამოკიდებულების შესახებ“.

ი. ბურლუცკის ნამუშევარი ავსებს იმ პროშურების თვისებებურ ტრილოგიას, რომელ ბიც „ცოდნამ“ მიუძღვნა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის 200 წლისთავს. დაისტამბა პირველი ამ ბროშურათაგანი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. სურგულაძის „1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, მალე გამოვა მეორე ბროშურაც „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. მისი ავტორია საქართველოს კომპარტიის აზმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბატიაშვილი. (საქინფორმი).

რამდენიმე დღეც, და ფეხბურთელთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის ალამი აღიმართება. უკანასკნელ ხანს დამკვიდრებული ტრადიციით, განვლილი წლისა და ახალ საფეხბურთო სეზონებს შორის პერიოდი თითქმის უწყვეტია, ამიტომ წინა სეზონში მოპოვებული წარმატებითა თუ წარუმატებლობით გამოწვეული ემოციებისა და ნუხილის გადახარშვას ახლა გაცილებით ნაკლებ დროს ვუთმობთ და საფიქრალს ისევ და ისევ კარგი მომავლის იმედს ვუკავშირებთ. ბუნებრივია, ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდების — თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ქომაგებს უწინარესად სწორედ ამ კოლექტივების მომავალი გაფიქრებს.

დინამოელებისთვის და ტორპედოელებისთვისაც წლევანდელი სათასო მატჩები ჩემპიონატის დაწყების წინ ის უფერტიურა გახლდათ, რომლის ხმოვანებაშიც უნდა ერთგვარად გაგვერკვია, თუ რამდენად შეხმატკბილებულად ჟღერენ ეს საფეხბურთო ანსამბლები. ამ ეტაპზე „ტორპედომ“ შესაძლებლობის თითქმის მაქსიმუმი გამოავლინა. რაც შეეხება „დინამოს“, ამჯერად მისი შემადგენლობის არსებითი რეორგანიზაციის გამო, პირველსავე სათასო მატჩში პოზიციის დათმობა მოუხდა.

დიდომში — დინამოელთა საწვრთნელ ბაზაზე შეეხვედით ნ. ახალკაცს, რომელმაც თავისი მოსაზრებანი გაგვიზიარა:

— თაობათა ცვლის ამ ურთულეს პერიოდში — საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადების დრო ძალიან შეგვიშალა ხელი ჭირვეულმა ამინდმა. და მაინც, გუნდის წევრებმა თავი არ დაიზოგეს, საკმაოდ მძიმე და ურთულეს პირობებშიც კი ყოველ ღონეს ხმარობდნენ ოსტატობის დასახვეწად, ფიზიკური კონდიციის ასამაღლებლად. შარშანდელი 16 დეკემბრიდან დღემდე 12 საკონტროლო მატჩი გავმართეთ, შევამოწმეთ ჩვენი ძალები. და ახლა უკვე ვიცით, რაში მოვისუსტებთ, კიდევ რა გვაქვს გასაკეთებელი. რაც შეეხება სასელექციო მუშაობას, მოგეხსენებათ, იგი უწყვეტი პროცესია და, ცხადია, მისი უგულებელყოფა დაუშვებელია. ამ მხრივ ჩვენ კიდევ ბევრი საზრუნავი გვაქვს. გუნდში მეგობრული განწყობილება სუფევს, ყველას უნდა თავი გამოიჩინოს, ისწავლოს თანაგუნდელისაგან, რაც შეიძლება დახვეწოს ოსტატობა.

— ახლა ყველას აინტერესებს, როდის ჩადგებიან მწყობრში გუცაევი და სვანაძე.

— სვანაძემ დუბლიორთა შემადგენლობაში უკვე ითამაშა, რაც შეეხება გუცაევს, მას დაახლოებით ერთ თვეში კალენდარულ მატჩებში ისილავთ. გუნდის ნაცად წევრებთან ახალგაზრდობის შენადნობმა ნაყოფი უნდა გამოიღოს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოცდილები მიზნად დაისახავენ იმას, რომ წლევანდელ სეზონში თავიანთი საუკეთესო თამაში აჩვენონ, შემქმნან ყოველგვარი პირობა იმისა, რომ ახალგაზრდებმა მათ მხარი აუბან. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ უნდა გამოიჩინონ მაღალი სათამაშო თუ მოქალაქეობრივი დისციპლინა, ხალხის წინაშე უაღრესი პასუხისმგებლობა, დღენიადაგ იზრუნონ ოსტატობის დახვეწისათვის. აი, ამ თვისებათა შერწყმისათვის ვართ მოწოდებული და, ვფიქრობთ, რომ ცდამ ფუჭად არ უნდა ჩაგვიაროს.

ამასობაში დინამოელთა მორიგი ვარჯიშის დროც მოვიდა და ნოდარ ახალკაცი მოეფნიასკენ გაეშმართა.

გულშემატკივრებს ისევ დაგვრჩენია, მოთმინება მოვიკრიბოთ, გაგებით მოვეკიდოთ თბილისის „დინამოს“ ცხოვრებაში დამდგარ მეტად რთულ პერიოდს და იმედიანად ვიყოთ.

ჯ. ენუქიძე.

სურათზე: თბილისის დინამოელთა ვარჯიშის მომენტი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲨᲢᲘᲚᲘᲙᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐ

საფეხბურთო ჟურნალმა „დონ ბალონმა“ (ესპანეთი) გამოაქვეყნა ამ ქვეყნის პირველი ლიგის თვრამეტივე კლუბის მწვრთნელები. მათ უნდა დაესახელებინათ ესპანეთის ჩემპიონატის უძლიერესი უცხოელი მონაწილეები.

ამ პლებისციტის შედეგად ხმების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს და პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს გერმანელმა შტილიკემ (მადრიდის „რეალი“) და არგენტინელმა მარადონამ („ბარსელონა“), მესამე ადგილი წილად ხვდა კამერუნელ მეკარე ნკომოს, რომელიც „ესპანიოლში“ (ბარსელონა) თამაშობს.

საინტერესოა, რომ ცნობილმა დასავლეთგერმანელმა ნახეგარმცველმა შუსტერმა („ბარსელონა“) სრული ფიასკო განიცადა — იგი საერთოდ არავინ არ დასახელა.

ესპანელ ფეხბურთელთაგან უძლიერესებად მიიჩნიეს სენიორი (სარაგოსას „რეალი“) და 19 წლის ზარაბია (ბილბაოს „ათლეტიკი“).

კითხვაზე, თუ ვინ გახდება ესპანეთის ჩემპიონი, ოთხ-ოთხმა მწვრთნელმა დაასახელა „ბარსელონა“ და ბილბაოს „ათლეტიკი“, ორმა კი ახლანდელი ლიდერი — მადრიდის „რეალი“.

ᲤᲘᲤᲐᲡ 150 ᲬᲔᲕᲠᲘ

როგორც ფიფას სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, დღეისათვის ამ ორგანიზაციას ზუსტად 150 წევრი ჰყავს. გარდა ამისა, კიდევ 16 ქვეყანას სურს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში შესვლა. მათ საკითხს განიხილავს ფიფას კონგრესი, რომელიც 1984 წელს გაიმართება.

ფიფას 8 წევრით უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე ფიბას (კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია) და მხოლოდ იიაფს (მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) ჩამოუვარდება, რომელშიც 168 ეროვნული ფედერაცია შედის.

ᲙᲠᲝᲚᲘ: „ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲝᲡᲘᲐ“

განთქმულმა ჰოლანდიელმა მცველმა კროლმა ჟურნალისტებს გახუცხადა, რომ მისი ქვეყნის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებში სრული ქაოსი სუფევს. ვიტერანმა მოიყვანა ასეთი მაგალითი: „ევროპის პირველობაზე ესპანელებთან სეგილიაში უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩის წინ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა დეგროოტმა მოთამაშეებს თავი მოუყარა ესპანეთში გაფრენამდე... ერთი საათით ადრე!“

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲗᲑᲡ

როგორც საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, იგი ყოველნაირ დახმარებას გაუწევს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც ევროპის 1984 წლის პირველობის ორგანიზატორია. კომუნიკეში ნათქვამია, რომ საამისოდ სპეციალური კომისია შეიქმნება.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66434 უე 07481 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. მიეჯახება ოფსეტური ნაბეჭდი, საგაზეთო კორპუსი, ხოვარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 მარტი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — გამოგვეხმაურეთ, მეგობარნო! 10.30 — „კარლ მარქსი. ახალგაზრდული წლები“. II სერია. 11.35 — საბჭოური მუსიკის საკავშირო ფესტივალის დასკვნითი კონცერტი. 12.30 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — დოკუმენტური ტელეფილმები — ოთხმოცდაანის კომუნისტები. 16.50 — „დაუკარ, ბანდურავ!“. 17.20 — ფილმი- — ბავშვებს. „ასეთი დიდი ბიჭი“. 18.45 — საჭადრაკო კლუბი. 19.15 — მოლეონოთა ლენინური უნივერსიტეტი. ორი სამყარო — ორი პოლიტიკა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ადამიანი და კანონი. 20.30 — იუგოსლავური ანსამბლის „კოლეგ